



## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

### № 51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია

#### განკარგულება N73/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის N21.49.32, N21.51.38, N21.51.23, N21.52.04, N21.52.18 , N21.57.02, N21.57.13, N21.57.06, N21.57.32 საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ხელახალი შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ.ზესტაფონი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 76<sup>1</sup> მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის №16/2020 დადგენილების, „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 სექტემბრის №69/2020 განკარგულების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №51/2020 განკარგულების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №52/2020 განკარგულებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 360/2020 განკარგულების საფუძველზე, №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მე-2 ტურისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ N21.49.32, N21.51.38, N21.51.23, N21.52.04, N21.52.18 , N21.57.02, N21.57.13, N21.57.06, N21.57.32 საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** საბუთები მიიღება 2020 წლის 17 ნოემბერს 10 საათიდან 18 საათამდე, მატერიალური ან ელექტრონული სახით შემდეგ მისამართებზე:

N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. N 5 ან ელექტრონულ მისამართზე [51\\_zestaphoni@cec.gov.ge](mailto:51_zestaphoni@cec.gov.ge));

N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის №117) ან ელექტრონულ მისამართზე 49\_terjola@cec.gov.ge

N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი ბაღდათი სააკაძის ქ. N5 ან ელექტრონულ მისამართზე 52\_bagdati@cec.gov.ge)

N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის №8) ან ელექტრონულ მისამართზე 57\_tkibuli@cec.gov.ge

**მუხლი 3.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 01 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე  გიორგი კახნიაშვილი

კომისიის მდივნის მ/შ  ნატალია ყიფშიძე

